

## დეპუტატის პროფილების მეთოდოლოგია

დეპუტატების პროფილების ბმულზე გამოქვეყნებულია და ცვლილებისთანავე განახლდება მონაცემები პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა განაწილების შესახებ. აქ შეძლებთ მოიპოვოთ ინფორმაცია: რომელი პოლიტიკური პარტიებისგან და საპარლამენტო სუბიექტებისაგან შედგება პარლამენტი; რამდენი მანდატი აქვს თითოეულ პარტიას; როგორია საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის რაოდენობრივი განაწილება და სხვა.

პოლიტიკურ ძალთა განაწილების რკალის ან საძიებო ღილაკის მეშვეობით შეგიძლიათ გადახვიდეთ თქვენთვის სასურველი დეპუტატის პროფილზე და გაეცნოთ მისი საქმიანობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- გადამოწმებული/დაზუსტებული ბიოგრაფია და საკონტაქტო მონაცემები - ახლდება მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში;
- პლენარულ სხდომაზე დეპუტატის სიტყვით გამოსვლის ვიდეო ჩანაწერი გამოსვლის ძირითადი არსის მითითებით - ახლდება თვეში ორჯერ;
- დეპუტატის ინიციატივების ნუსხა და ძირითადი არსი - ახლდება თვეში ორჯერ;
- დეპუტატის გაგზავნილი კითხვების და მიღებული პასუხების ნუსხა და ძირითადი არსი - ახლდება ყოველკვირეულად;
- დეპუტატის მიერ ინტერპელაციისას გაგზავნილი კითხვების და მიღებული პასუხების ნუსხა და ძირითადი არსი - ახლდება სესიის განმავლობაში ორჯერ;
- სხვა დეპუტატების მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებსაც დეპუტატმა დაუჭირა ან არ დაუჭირა მხარი - ახლდება თვეში ერთხელ;
- დეპუტატის საქმიანობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები - ახლდება ყოველ 6 თვეში;
- მოქალაქეთა განცხადებებზე დეპუტატის რეაგირების შესახებ ინფორმაცია - ახლდება ყოველ 6 თვეში;
- დეპუტატის მოქალაქეებთან შეხვედრების ინტენსივობის შესახებ ინფორმაცია - ახლდება ყოველ 6 თვეში.

დეპუტატის პროფილზე ატვირთული ინფორმაციის წყაროებია: დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს მიერ განხორციელებული პარლამენტის საქმიანობაზე ყოველდღიური მონიტორინგის შედეგები; პროაქტიულად გამოქვეყნებული და გამოთხოვილი ღია საჯარო ინფორმაცია; დეპუტატისგან მიღებული, დადასტურებადი ინფორმაცია.

დეპუტატის პროფილზე ცალკე ქვეყნდება მის მიერ გაწეული საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი.

დეპუტატის საქმიანობის სპეციალურად დამუშავებული რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზი პერიოდულად ქვეყნდება ორგანიზაციის სოციალური გვერდების მეშვეობით.